იაპონიის მთავრობის მიერ „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული თბილისის ორთოპედიული პროტეზირების ცენტრის აშენების პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2015 წლის 11 ნოემბერს, თბილისში გაიმართება ორთოპედიული პროტეზირების ცენტრის ახალი შენობის საზეიმო გახსნის ცერემონია. ცენტრის მშენებლობის პროექტი განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. პროექტის დამფინანსებლები ასევე არიან საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი, იოჰანიტერ ინტერნეშენალი და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, პროექტის დონორი ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტი განახორციელა საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართულმა ფონდმა. პროექტის ფარგლებში მოხდა შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირების უზრუნველყოფა ფიზიკური რეაბილიტაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართულ ფონდში რეგისტრირებული 10 000-ზე მეტი ადამიანი და მათი მომვლელი ისარგებლებს ახალი ორთოპედიული ცენტრით, რომელიც დაიგეგმა და აშენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 122 929 ა.შ.შ. დოლარია.